პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 161 (4671)

1972 წ. 17 აგვისტო, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# მეთოთხმეტე პარტია

**ფიშერი — სპასკი**

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6 2. მf3 d5 3. d4 მf6 4. მc3 კe7 5. კf4 0—0 6. e3 c5 7. dc მc6 8. cd ed 9. კe2 კ:c5 10. 0—0 კe6 11. ეc1 ე:c8 12. a3 h6 13. კg3 კb6 14. მe5 მe7 15. მa4 მe4 16. ე:c8 კ:c8 17. მf3 კd7 18. კe5 კ:a4 19. ლ:a4 მc6 20. კf4 ლf6 21. კb5 ლ:b2 22. კ:c6 მc3 23. ლb4 ლ:b4 24. ab bc 25. კe5 მb5 26. ეc1 ეc8 27. მd4 f6 28. კ:f6 კ:d4 29. კ:d4 მ:d4 30. ed ეb8 31. მფf1 ე:b4 32. ე:c6 ე:d4 33. ეa6 მფf7 34. ე:a7+ მფf6 35. ეd7 h5 36. მფe2 g5 37. მფe3 ეe4+ 38. მფd3 მფe6 39. ეg7 მფf6 40. ეd7 მფe6. ყაიმი.

* * *

მეთოთხმეტე პარტიაში მეტოქეებმა კვლავ ლაზიერის გამბიტი აირჩიეს, მაგრამ მე-5 სვლაზე ფიშერმა კუთი გაუბედავად ითამაშა. ეს სპასკისთვის მოულოდნელი არ იყო. სწორედ ასე ითამაშა მის წინააღმდეგ პეტროსიანმა 1969 წლის მატჩში. მსოფლიო ჩემპიონმა ამჯერად უკეთესი გაგრძელება მონახა.

სპასკიმ ცენტრში გამხოლოებული პაიკი მიიღო. ამ პაიკის სისუსტე მხოლოდ ენდშპილში ჩანს, მაგრამ შუა თამაშში იგი ხელს უწყობს იერიშის განვითარებას. ფიშერი შეეცადა გამხოლოებული პაიკის ნაკლი გამოეყენებინა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. 22-ე სვლაზე მას სპასკის შუალედური სვლა გამორჩა და უპაიკოდ დარჩა. მსოფლიო ჩემპიონმა ლაზიერებიც გაცვალა და მოსაგები ენდშპილი მიიღო.

რამდენიმე ხანს სპასკი კარგად თამაშობდა, მაგრამ 27-ე სვლაზე შეცდა და ფიშერმა პაიკი დაიბრუნა. თამაში ეტლების თანაბარ ენდშპილში გაგრძელდა. როცა ძალები მთლიანად დაიცხრილა, მე-40 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 8,5:5,5 ფიშერის სასარგებლოდ. მეთხუთმეტე პარტია 18 აგვისტოს გათამაშდება.



# რუსთაველები ნორმატივებს აბარებენ



ფიზკულტურელის საკავშირო დღეს რუსთავში ბევრი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა.

„მეტალურგის" სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სახტომ სექტორებზე ქალაქის საწარმო-დაწესებულებების ასობით ახალგაზრდა აბარებდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივებს. ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე რბენაში ოქროს სამკერდე ნიშნებზე ჩააბარეს როსჩუკინმა (ქიმიური კომბინატი) — 12,0, კორნეევმა — 12,4, პარუნაშვილმა (ორივე—მეტალურგიული ქარხანა) — 13,0 გოგონებში კი სემიონოვამ (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა) — 14,2. სიგრძეზე ხტომაში ნორმატივი ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა პარუნაშვილმა — 510 სმ, ხოლო ვერცხლზე—როსჩუკინმა და კორნეევმა. გოგონათა შორის ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ჩააბარეს ჩერნიაკოვამ, ივანჩუკმა (ორივე — ქიმიური კომბინატი) და სეხნიაშვილმა (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა).

ღერძზე მიზიდვაში ოქრო დაიმსახურეს ნოზაძემ (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა) — 20-ჯერ მიიზიდა, ტალახაძემ (მეტალურგიული ქარხანა) —16, ჰედიამ (ქიმიური კომბინატი) — 15.

**რ. გაბრიჩიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

რუსთავი.

* * *





**სურათებზე:** ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მომენტები. 100 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრება; სიგრძეზე ხტომა; ღერძზე მიზიდვაში ნორმატივს აბარებს თ. ნოზაძე.

ავტორის ფოტოები.

# საჭიროა მეტი სისწრაფე

15 აგვისტოს, მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატის მოსკოვის ეტაპის დასკვნით დღეს, ლუჟნიკის 50-მეტრიან აუზში კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა: 14 წლის დონეცკელმა მოსწავლემ ირინა უსტიმენკომ პირველად მოიპოვა ოქროს მედალი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 1.06,6. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს ქვეყნის უწინდელ რეკორდს, რომელიც ვ. ტუტაევას (მოსკოვი) ეკუთვნოდა.

უძლიერესის ტიტული პირველად მოიპოვა 17 წლის მინსკელმა ნ. კრიშოვამაც. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მან ჩამოიტოვა გამოცდილი თბილისელი სპორტსმენი თ. ლეკვეიშვილი და კინაღამ ჩამოართვა მას საკავშირო რეკორდი — სულ 0,1 წამი დააკლდა. ერშოვას შედეგია 1.07,9, ლეკვეიშვილისა — 1.09,0. III ადგილზეა გორკელი ე. სტაროსტინა — 1.10,4.

ახალი ჩემპიონების გამოჩენა გვახარებს. სახელგანთქმულ მოცურავეებს სულ უფრო უჭირო პოზიციების შენარჩუნება. მძაფრ ბრძოლაში იბადება სარეკორდო წამები: მოსკოვის სტარტების სამი დღის მანძილზე განახლდა ცხრა საკავშირო მიღწევა, რომელთაგანაც ორი ევროპის რეკორდებს სჯობს.

დიახ, საბჭოთა მოცურავეებმა სისწრაფეს უმატეს. მიუხედავად ამისა, მათი შედეგები ჯერ კიდევ ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს. ისეთ სახეობებში, როგორიცაა, მაგალითად, ბრასის სტილით ცურვა ქალებისთვის, 100 მეტრზე ბრასითა და ბატერფლაით ცურვა ვაჟებისთვის, ახლანდელ ჩემპიონებს უფრო დაბალი შედეგები აქვთ, ვიდრე შარშანდელებს. მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებისათვის მეტი სისწრაფეა საჭირო.

დანარჩენი ტექნიკური შედეგები:

100 მ. ბატერფლაი. ვაჟები. 1. ვ. შარიგინი (მოსკოვი) — 58,5; 2. ვ. ვასილენკო (კიევი) — 59,4; 3. ს. ლისიუნენკო (ლვოვი) — 59,5. ქალები. 1. ი. უსტიმენკო (დონეცკი) — 1.06,6; 2. ა. მეერზონი (ლენინგრადი) — 1.08,9; 3. გ. ვასკევიჩი (ლვოვი) — 1.09,1.

100 მ. გულაღმა. ვაჟები. 1. ი. გრივენიკოვი (მოსკოვი) — 1.00,1; 2. ვ. კრასკო (ბათუმი) — 1.01,6; 3. არტემიევი (ვოლგოგრადი) — 1.02,7.

წლევანდელი პირველობა ორ ეტაპად ჩატარდა — თბილისსა და მოსკოვში. მოკავშირე რესპუბლიკებსა და ქალაქებს შორის I ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა. შემდეგ მოდიან: რსფსრ, უკრაინა, ლენინგრადი, საქართველო, ლიტვა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ბელორუსია, ლატვია, ესტონეთი.

სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებს შორის პრიზიორთა სამეულშია არიან „დინამოს", შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის „ტრუდის" მოცურავეები.

# ძიუდოისა და... ბუხში

ამას წინათ მონღოლეთიდან დაბრუნდა სსრ კავშირის „დინამოს" ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი, რომელმაც ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა მასპინძელი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებთან და ორივეჯერ გაიმარჯვა — 6:3, 8:2.

დინამოელთა შორის იყო ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისელი ა. მარტყოფლიშვილი.

ა. მარტყოფლიშვილმა კარგად ჩაატარა ორივე შეხვედრა და, ამას გარდა, სპეციალური პრიზი მოიპოვა მონღოლურ ეროვნულ ჭიდაობაში, რომელიც ბუხის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ეროვნულ სახეობაში სცადა ძალა მოსკოველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დ. რუდმანმაც, მაგრამ დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, მარტყოფლიშვილმა კი 64 მონაწილეს შორის V ადგილი დაიკავა და სამი წმინდა გამარჯვებისთვის, როგორც ვთქვით, სპეციალური პრიზიც მოიპოვა.

**ზ. ჯანელიძე.**

## საჭადრაკო მიმოხილვა

# უკვე მესამე

## გუგული რიჟამაძე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია

ვილნიუსში გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ქ. ლოსაბერიძესთან და ლ. ასატუროვასთან ერთად საქართველოდან პირად პირველობაში გამოდიოდა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 სკოლის აღსაზრდელი, ქუთაისელი სპორტის ოსტატი გ. რიჟამაძე.

ქართველმა ქალიშვილმა ლიტვის დედაქალაქში ჩინებულად იასპარეზა, ოთხივე დისტანციის ჯამში (70, 60, 50 და 30 მ) 2284 ქულა მოაგროვა, რაც 54 ქულით აჭარბებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს. მანვე 60 მეტრზე სროლაში 594 ქულა დაიმსახურა. ეს კი რიჟამაძის თანაქალაქელ ქ. ლოსაბერიძის რესპუბლიკურ რეკორდზე 6 ქულით უკეთესია.

გ. რიჟამაძე მესამე ქალია ჩვენი რესპუბლიკიდან, რომელმაც მშვილდოსნობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

**ვ. თენგოშვილი.**

## 19 45

◆ მოსკოვი, 16 აგვისტო. წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობაში ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე 15 წლის ტომსკელმა მოსწავლემ ი. ავდეევამ დღეს თავისი მეორე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამჯერად 400 მეტრზე ცურვაში — 3.47,80. უწინდელი მიღწევა (3.55,1) უსტკამენოგორსკელ ნ. ტურუკალოს ეკუთვნოდა. 1500 მეტრზე ცურვის ფინალში ყველას აჯობა მოსკოველმა ტ. ნიკიფოროვამ — 16.29,58.

◆ კოპენჰაგენი, 16 აგვისტო. „სოლინგის" კლასის ნავებით ევროპის ჩემპიონატში წარმოუდგენელი გამარჯვება იზეიმა გდრ-ის აფროსანმა ჯ. შვარცმა. დასკვნითი, მეშვიდე რბოლის წინ ლიდერობდა ლეგენდარული დანიელი მესაჭე, ოთხი ოლიმპიური ოქროს მფლობელი პ. ელვსტრემი, რომელიც ფინიშამდე ამართლებდა კიდეც ფავორიტის სახელს. მას კვალში მისდევდა ცნობილი ინგლისელი მრბოლელი ჯ. ოაკლი, შვარცი კი მხოლოდ მეშვიდე იყო. დადგა შეჯიბრების ბოლო დღე და ელვსტრემმა დაიკავა... 25-ე ადგილი, ოაკლიმ — მე-20, შვარცმა კი I. საბოლოოდ, ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა (71) გერმანელს აღმოაჩნდა. ოაკლის ვერცხლი ხვდა (73,4), ელვსტრემს კი მხოლოდ ბრინჯაო (76,7).

# ქარმა ყველაფერი აურია

იჟევსკი, 16 აგვისტო. ძლიერმა ჩრდილოდასავლეთის ქარმა ტალღებით დასერა „ტემპის" საწყლოსნო ბაზის აკვატორიუმი, რის გამოც წყალსათხილამურო სპორტში VIII საკავშირო ჩემპიონატის ორგანიზატორებს პროგრამის ერთგვარად შეცვლა მოუხდათ.

უდმურტეთის დედაქალაქში 56 მონაწილე ჩამოვიდა, რომელთა შორის არიან ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები — მოსკოველები ტ. როჟკოვა, გ. ბუსევი, ვ. სილინი, სსრ კავშირის შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი, ლენინგრადელი ა. მიასნიკოვი, უძლიერესი სლალომისტი ე. ტიცევი (სოჭი), ტრამპლინიდან მხტომელი ქალი თ. ბუეტი (სევასტოპოლი).

შეჯიბრებამ იჟევსკელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ისინი აგერ უკვე რამდენიმე დღეა გატაცებით ადევნებენ თვალს წყალსათხილამურო სპორტის ოსტატთა საწვრთნელ მეცადინეობებს: ბაზა ხომ ქალაქის ტბაზე მდებარეობს.

ჩემპიონატის პირველ დღეს ამინდის ჭირვეულობის გამო სლალომის მაგივრად ფიგურულ სრიალში გაიმართა ასპარეზობა. ამ სახეობაში გამარჯვებულნი კვირას გამოვლინდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიხარული და სინანული

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე „მხიარული დელფინის“ ასპარეზობა სსრ კავშირის ნორჩ მოცურავეთა შორის ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებადაა აღიარებული. მიუნჰენის XX ოლიმპიადაში მონაწილეობის კანდიდატთა თითქმის ნახევარი თავის დროზე სწორედ ამ ტურნირის ბილიკებმა მიიყვანა დიდ სპორტში. წლევანდლამდე ამ ავტორიტეტული პირველობის პროგრამა მეორე ეტაპის დაუსწრებელი საკავშირო შეჯიბრებით ამოიწურებოდა, ამიერიდან კი 1960-61 (უმცროსი), 1958-59 წლებში (უფროსი) დაბადებული გოგონების და 1959-60 და 1957-58 წლებში დაბადებული ბიჭებისთვის კიდევ ერთი ცალკე ღონისძიება შევიდა საკავშირო კალენდარში (ამიტომ იყო, რომ მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში 14-15 წელზე უმცროსი მოცურავეები არ მონაწილეობდნენ). ეს გარემოება, ცხადია, თავისთავად ამაღლებდა ჩვენი ქვეყნის მოცურავეთა ხვალინდელი იმედის გამოცდისადმი ინტერესს.

ცურვაში ერთიანი საკავშირო სისტემით ყოველ მომდევნო ასპარეზობის საგზურს სპორტსმენი მანამდე მოპოვებული შედეგებით იმსახურებს. ბავშვთა და მოზარდთა პირველ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ამ პრინციპით შეირჩნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის და ჭიათურის მოცურავეები. ამთავითვე ვიტყვით, დებიუტანტმა ასპარეზობამ იმედი გაამართლა: მან ბევრი რამ გვიჩვენა სასიხარულო, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არც სინანული დაუკლია.

საკავშირო სარბიელის საგზური საფარაუდოზე გაცილებით მეტმა სპორტსმენმა დაიმსახურა. ისიც უნდა ითქვას, რომ მაღალი შედეგები შეჯიბრების ჩატარების ყოველმხრივ ხელსაყრელმა პერიოდმაც განაპირობა.

გაგრელი მოსწავლის ლ. სუინას („განთიადი“) ჩინებულ მაჩვენებლებზე ჩვენ უკვე ვწერდით. ახლა იმასაც დავსძენთ, რომ ეს გოგონა ერთადერთი მოცურავეა, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკიდან ქვეყნის 8 უძლიერესს შორის სამ დისტანციაზე გამოსვლის უფლება მიიღო.

უმცროსი ასაკის გოგონათა შორის 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს პირველი რეკორდსმენი გახდა თბილისის „განთიადის“ სპორტსკოლის აღსაზრდელი ლ. იმნაძე (წლევანდლიდან 11-12 წლის ბავშვებისთვის რეკორდები ცალკე აღირიცხება). ამ გოგონას შრომისმოყვარეობა მომავალში უფრო თვალსაჩინო წარმატებებს გვპირდება. შესანიშნავად გამოვიდა თბილისის დინამოელი ვ. მაკაროვიც (უფროსი ასაკი), რომელმაც თავისუფალი სტილით ცურვაში 400 მეტრზე მოზარდების (4.30,4), 800 მეტრზე კი ჭაბუკთა და მოზარდთა (9.20,4) რესპუბლიკური რეკორდები დაამყარა.

იმნაძე, ტ. კოსტირიოვა (ქუთაისი, „განთიადი“), ნ. იალლოვა, ს. ნედელკო, დ. გრიგორი, ა. რეზნიკოვი (ყველა — თბილისი, განათლ. განყოფილება), ნ. გეოქჩოღლიანი (თბილისი, „ლოკომოტივი“) პირველად ამ შეჯიბრებაში შესწვდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს.

ქუთაისელი მოსწავლე კოსტირიოვა 11 წლისაა. სპეციალისტების აზრით, იგი ამ შეჯიბრების ნამდვილი აღმოჩენა იყო. ტანია ისე დინჯად და აუღელვებლად გამოდიოდა ყოველ სტარტზე, გამოცდილი ოსტატი გეგონებოდათ, დისტანციაზე კი თავგამოდებით და ენერგიის დაუზოგავად ებრძოდა წამებს. იგი 50 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი იყო, 800 მეტრზე — მეორე, 200 მეტრზე ბატერფლაით — მესამე.

ასპარეზობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენში კვლავ პრობლემად რჩება ცისფერ ბილიკებზე გოგონათა მასობრივად მიზიდვის საქმე. რატომღაც დავიწყებას მიეცა კარგი ტრადიცია (მისი მოთავე „დინამოს“ სპორტსკოლა იყო) გოგონათა სპეციალური ჯგუფების შექმნისა. გადავხედოთ სამსაჯო ოქმებს. 100 მეტრზე უფროსი ასაკის გოგონებისთვის ბატერფლაით ცურვაში მხოლოდ სამი მონაწილე გამოვიდა სტარტზე, 200 მეტრზე — ერთი, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (უმცროსი ასაკი) — ოთხი სპორტსმენი მონაწილეობდა, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (უფროსი ასაკი) — სამი. ჩამორჩენას ისიც ადასტურებს, რომ საკავშირო პირველობაში გასამგზავრებელ 14 მოცურავეში მხოლოდ სამი გოგონაა.

## ბავშვთა და მოზარდთა I რესპუბლიკური ჩემპიონატი ცურვაში

სასიხარულოა, რომ შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იმაღლებენ ოსტატობას ქუთაისელი მოცურავეები. უფროსმა მწვრთნელმა ვ. ანანოვმა აქაც მშვენივრადააწყო საქმე (მანამდე იგი ჭიათურაში მუშაობდა). ქუთაისელმა ნორჩებმა სამი I, სამი II და ოთხი III საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ისინი აჭარის სპორტსმენებზე ბევრად უკეთესად გამოვიდნენ. მაგრამ ანანოვისა და ქუთაისელი ენთუზიასტი მწვრთნელების ნაამაგარს აშკარა საფრთხე ემუქრება: აცივდება თუ არა, მეცადინეობაც შეწყდება, ვინაიდან წყლის გათბობის სისტემა აქ ვერა და ვერ მოაგვარეს.

რა არის აჭარის სპორტსმენთა წარუმატებლობის მიზეზი? სანუგეშო პასუხი ვერც ზემოხსენებულმა შეჯიბრებამ გაგვცა. არც ერთი გამარჯვებული, მხოლოდ სამი II და ოთხი III საპრიზო ადგილი—აი, იქაური მწვრთნელების უნიათო მუშაობის დამადასტურებელი კიდევ ერთი მაგალითი.

დასასრულ გაგაცნობთ იმ 14 სპორტსმენს, რომლებიც ამ დღეებში საკავშირო სარბიელზე გამოვლენ. ესენი არიან: სუინა, იმნაძე, მაკაროვი, გ. კირდიანოვი, თ. ბახუტაშვილი, ნ. ბაშარული, ი. ნახუცრიშვილი, ვ. საი (ჩუთივე — თბილისი, „დინამო“), ნედელკო, ი. ლეკვეიშვილი, ა. რეზნიკოვი, ა. თევზაძე (ყველა — თბილისი, განათლ. განყოფილება), ა. ვეჩხაიზერი (თბილისი, „განთიადი“), გ. ზაზიაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

**თ. გაჩეჩილაძე.**

• • •



სურათზე: ლ. იმნაძე ასპარეზობის დროს. ავტორის ფოტო.

• • •

### ტექნიკური შედეგები

გოგონები. უმცროსი ასაკი. თავისუფალი სტილი. 50 მ. კოსტირიოვა — 33,2, იალლოვა — 33,7, მ. ბილანიშვილი (თბილისი, „დინამო“) — 33,7. 100 მ. იალლოვა — 1.11,0, იმნაძე — 1.11,3, ბილანიშვილი — 1.14,2. 400 მ. კოსტირიოვა — 5.24,7, იალლოვა — 5.25,0, ბილანიშვილი — 5.26,0. 800 მ. იმნაძე — 11.02,2, კოსტირიოვა — 11.04,9, იალლოვა — 11.33,5. ბრასი. 100 მ. ა. პურსანოვა (თბილისი, „განთიადი“) — 1.29,4, ტ. ონუფრენჩუკი (ბათუმი, „განთიადი“) — 1.30,7. თ. ლაშქარაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.32,3. 200 მ. პურსანოვა — 3.11,7, ლაშქარაშვილი — 3.13,3, ი. ზაგნიოტკინა (ქუთაისი, „განთიადი“)—3.13,4. გულაღმა. 100 მ. იმნაძე—1.17,4, მ. ნათლიაშვილი — 1.20,4, ლ. ასლამაზოვა (ორივე — თბილისი, „დინამო“) — 1.24,6. 200 მ. იმნაძე — 2.43,4, ნათლიაშვილი — 2.51,3, ასლამაზოვა—2.56,2. ბატერფლაი. 100 მ. კოსტირიოვა — 1.25,8, ი. პროსკურინა (თბილისი, „განთიადი“) — 1.26,3, ლ. შერგელაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.26,4. 200 მ. იმნაძე — 2.58,3, ი. მუმლაური (თბილისი, განათლ. განყოფილება) — 3.03,0, კოსტირიოვა — 3.05,0. კომპლექსური. 200 მ. იმნაძე — 2.52,1, ბილანიშვილი — 2.58,5, ნათლიაშვილი — 3.01,5. 400 მ. იმნაძე — 6.02,7, ბილანიშვილი — 6.23,2, პროსკურინა — 6.35,0. უფროსი ასაკი. თავისუფალი სტილი. 50 მ. სუინა — 29,0, ც. ჩიკვაიძე — 32,7, ტ. გამჯიაშვილი (ორივე — თბილისი, „დინამო“) — 33,5. 100 მ. სუინა — 1.04,3, ჩიკვაიძე — 1.11,7, ლ. ნატროშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.13,2. 400 მ. სუინა — 5.07,9 გეოქჩოღლიანი — 5.27,0, ლ. მუტოვა (თბილისი, „დინამო“) — 5.39,3. 800 მ. სუინა — 10,49,0, გეოქჩოღლიანი — 11.04,8, მუტოვა— 12.00,3. ბრასი. 100 მ. კირდიანოვა — 1.22,1, მ. გამზინა (თბილისი, „განთიადი“) — 1.28,4, გამჯიაშვილი — 1.28,9. 200 მ. კირდიანოვა — 2.54,2, გამზინა — 3.05,2, გამჯიაშვილი — 3.07,3. გულაღმა. 100 მ. ს. გაზალიანი (თბილისი, „დინამო“) — 1.18,2, სუინა — 1.21,2, გ. გელაძე (თბილისი, „დინამო“) — 1.25,4. 200 მ. გაზალიანი — 2.44,7, გელაძე — 3.01,6, ლ. ბორისი (ბათუმი, „დინამო“) — 3.04,4. ბატერფლაი. 100 მ. სუინა — 1.21,0, გამჯიაშვილი — 1.24,5, გამზინა — 1.30,9. 200 მ. გამჯიაშვილი — 1.24,5 (სხვა მონაწილე არ ყოფილა). კომპლექსური. 200 მ. სუინა — 2.42,2, გამჯიაშვილი — 2.52,3, კირდიანოვა — 2.56,3. 400 მ. სუინა — 6.06,8, გამჯიაშვილი — 6.13,0, გამზინა — 6.17,0.

ბიჭები. უმცროსი ასაკი. თავისუფალი სტილი. 50 მ. რეზნიკოვი — 28,1, გ. გურგენიძე (ქუთაისი, „ლოკომოტივი“) — 31,2, ი. კუშპელიოვი (თბილისი, „ლოკომოტივი“)— 31,5. 100 მ. რეზნიკოვი — 1.01,2, გ. მთვრალაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.04,5, კუშპელიოვი — 1.06,0. 400 მ. ზაზიაშვილი — 4.45,8, მთვრალაშვილი — 4.47,2. რეზნიკოვი — 4.47,5. 800 მ. ზაზიაშვილი — 9.54,9, მთვრალაშვილი — 10.06,8, კუშპელიოვი — 10.15,9. ბრასი. 100 მ. ნედელკო — 1.12,4, ლეკვეიშვილი—1.19,1, ვ. ვასილენკოვი (თბილისი „განთიადი“) — 1.20,7. 200 მ. ნედელკო — 2.42,6, ლეკვეიშვილი — 2.45,2, ვ. ბურმისტროვი (ბათუმი, „განთიადი“) — 3.00,8. გულაღმა. 100 მ. ნახუცრიშვილი — 1.10,7, თევზაძე — 1.12,4, საი — 1.14,3. 200 მ. ნახუცრიშვილი — 2.30,3, თევზაძე — 2.35,8, საი — 2.36,4. ბატერფლაი. 100 მ. რეზნიკოვი — 1.06,7, ზაზიაშვილი — 1.11,2, ნ. დავიდოვი (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 1.12,1. 200 მ. რეზნიკოვი—2.37,0, ზაზიაშვილი — 2.38,4, დავიდოვი — 2.38,5. კომპლექსური. 200 მ. რეზნიკოვი — 2.30,3, მთვრალაშვილი — 2.44,7, დავიდოვი — 2.45,0. 400 მ. დავიდოვი — 5.46,5, ვასილენკოვი — 5.51,0, ბურმისტროვი — 5.56,5. უფროსი ასაკი. თავისუფალი სტილი. 50 მ. ვეჩხაიზერი — 26,3, მაკაროვი — 28,4, ნ. კირკიტაძე (ქუთაისი, „ლოკომოტივი“) — 28,6. 100 მ. მაკაროვი — 1.00,2, ვეჩხაიზერი — 1.00,8, გრიგორი — 1.01,3. 400 მ. მაკაროვი — 4.30,4, ვ. დოლიძე (თბილისი, „ლოკომოტივი) — 4.47,4, ი. მესხიშვილი (თბილისი, განათლ. განყოფილება) — 4.51,4. 800 მ. მაკაროვი — 9.20,4, დოლიძე — 9.53,0, გ. აგიკიანი (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 10.05,0. ბრასი. 100 მ. ბახუტაშვილი — 1.12,1, დ. ელიზბარიშვილი — 1.16,2, ა. სეროვი (ორივე — თბილისი, „დინამო“) — 1.16,9. 200 მ. ბახუტაშვილი — 2.42,2, ელიზბარიშვილი — 2.44,1, მ. ლუგინი (თბილისი, „დინამო“) — 2.45,3. გულაღმა. 100 მ. ბაშარული — 1.07,0, ვეჩხაიზერი — 1.07,1, ა. ველიჩკო (თბილისი, „დინამო“) — 1.12,6. 200 მ. ბაშარული — 2.22,1, ვეჩხაიზერი — 2.26,7. ველიჩკო — 2.36,4. ბატერფლაი. 100 მ. ბაშარული — 1.01,1, ი. მესხიშვილი — 1.08,3, მაკაროვი — 1.10,1, 200 მ. ბაშარული — 2.23,0, პიატინინი (ბათუმი, „დინამო“) — 2.34,2, ჯ. გორდეზიანი (ქუთაისი, „დინამო“) — 2.53,6. კომპლექსური. 200 მ. ბახუტაშვილი — 2.28,7, გრიგორი — 2.30,0, მაკაროვი — 2.30,2. 400 მ. მაკაროვი — 5.12,2, სტეგანცევი — 5.15,7, გრიგორი — 5.28,2.

# ჩემპიონატი რეკორდებით დაიწყო

ევროპის ჩემპიონატი წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში ოფიციალურად ჯერ არ გახსნილიყო, რომ მოსკოვის საწყლოსნო სპორტის სასახლის 50-მეტრიან აუზზე უკვე გაისმა დიქტორის ხმა: „ფარფლებით 100 მეტრზე ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა საბჭოთა სპორტსმენმა ი. ფალომკინამ“. ეს წინასწარ შეჯიბრებაში მოხდა. ფალომკინა 17 წლისაა, წლეულს დაამთავრა საშუალო სკოლა და უკვე ქვეყნის ჩემპიონია. მისი შედეგია 46,62 წამი. ფალომკინამ 0,2 წამით გააუმჯობესა ასევე საბჭოთა სპორტსმენის ი. ავდეევას უწინდელი მსოფლიო მიღწევა. სამაგიეროდ, მეორე დღეს 15 წლის ტომსკელმა მოსწავლემ ი. ავდეევამ 100 მეტრზე ფარფლებით ფინალურ შეჯიბრებაში ისევ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი — 46,29 წამი: ფალომკინას რეკორდმა სულ ერთ დღე-ღამეს იარსება.

ლამაზი სანახავი იყო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. მოსკოვში ჩამოვიდნენ სპორტსმენები 14 ქვეყნიდან — ავსტრიიდან, ბელგიიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, დანიიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, ლუქსემბურგიდან, საფრანგეთიდან, გფრ-იდან, ჩეხოსლოვაკიიდან, შვეიცარიიდან, შვეციიდან, იუგოსლავიიდან.

იმ დღეს დამყარდა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი. მოსკოველმა სტუდენტმა ტ. ნიკიფოროვამ ფარფლებით 800 მ 8 წუთსა და 31,44 წამში გაცურა. II ადგილზეა ჩელიაბინსკელი ლ. ვიატკინა — 8.40,42, III — ბ. ფოკტი (გდრ) — 8.40,64.

50 მეტრზე ყვინთვაში ევროპის ჩემპიონი გახდა ერევნელი შ. კარაპეტიანი. მთავარ სერიებში მან და მოსკოველმა ვ. კონმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 17,4 წამი. დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება, სადაც კარაპეტიანმა გაიმარჯვა — 17,0. მისმა მეტოქემ 17,2 აჩვენა. III ადგილზეა ასევე საბჭოთა სპორტსმენი ვ. ვოლკოვი — 17,8.

100 მეტრზე ფარფლებით ცურვაში ვაჟთა შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა კონმა — 39,92 წამი. უწინდელი მიღწევა ეკუთვნოდა მეორე საბჭოთა მოცურავეს ვ. ბარდაშევიჩს — 40,0.

15 აგვისტოს პროგრამის ბოლო სახეობაში — წყალქვეშ 800 მეტრზე ცურვაში ვაჟებში პირველი იყო ნოვოსიბირსკელი ვ. ვოლკოვი. მან მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 7.16,0.

# ჩვენი ქვეყანა

## სპორტი ორ ცვლაში

ორ ცვლად მიმდინარეობს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სვერდლოვსკის „ურალხიმმაშზავოდის“ სტადიონზე. დილით სასტარტო გასროლა ისმის მათთვის, ვინც სამუშაოდ მეორე ცვლაში გადის, საღამოს კი მათთვის, ვინც ქარხნიდან შინ დაბრუნდა და უკვე დაისვენა. სტადიონზე ერთდროულად ხუთი-ექვსი მსაჯთა ბრიგადა მუშაობს. მშდ-ს ნორმატივების მასობრივად ჩაბარების წინ სტადიონზე ხელახლა მოამზადეს სარბენი ბილიკები, ხტომისა და ტყორცნის სექტორები. შესამჩნევ ადგილზეა გამოკრული პლაკატები კომპლექსის ნორმატივებით.

პირველ დღეებში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით რეკორდი დაამყარა ქარხნის მსხმელთა კოლექტივმა — სტადიონზე ცვლების და უბნების ხელმძღვანელებთან ერთად მოვიდა საამქროს 140 მუშა.

ნორმატივების მასობრივი ჩაბარება კარგადაა ორგანიზებული „ურალმაშშიც“, სვერდლოვსკის მუშათა წამყვანი რაიონის — ორჯონიკიძის რაიონის სხვა საწარმოებშიც. ამ რაიონის ქარხნების სტადიონებზე შექმნილია სასწავლო ჯგუფები. მათ შორის, ვინც კომპლექსის უკვე რამდენიმე საზაფხულო ნორმატივი ჩააბარა, არის „ურალმაშზავოდის“ ბრიგადაც, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ა. ხრამცოვი მეთაურობს. ბრიგადა შრომაშიც მოწინავეა: კბილსაჭრელი დაზგის ოსტატებმა ვალდებულება აიღეს ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის დავალებები.

კომპლექსის ნორმატივები წარმატებით ბარდება ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტადიონზეც, რომლის სარბენი ბილიკებით და სექტორებითაც უფასოდ სარგებლობენ მსურველები. განათლების საქალაქო განყოფილებამ ვერხ-ისეტსკის მეტალურგიული ქარხნის საწყლოსნო სადგურზე მოსწავლეთათვის ცურვის შემსწავლელთა კურსები გახსნა.

სვერდლოვსკი.

## 210-კილომეტრიანი ესტაფეტა

დღის ბოლოს ჩელიაბინსკის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოეწყო სხვადასხვა ასაკის მორბენალთა ჯგუფის ფინიში (მათ შორის პენსიონერებიც იყვნენ). ისინი სირბილით ჩამოვიდნენ... სვერდლოვსკიდან.

ჯგუფში შედიოდნენ რბენის მოყვარულთა კლუბ „ურალ-100“-ის წევრები. მათი ეს თავისებური საესტაფეტო გადარბენა ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის მორბენალთა საპასუხო ვიზიტი იყო.

ჩელიაბინსკელებმა — ფოლადის დნობის ოსტატებმა ვ. კოზშევმა და ი. ხოლოდოვმა, მარტენის ოსტატმა ვ. ზაიკოვმა, ელექტრიკოსმა ვ. პოლიაკოვმა, თბომავლის მემანქანე რ. ასკაროვმა, ინჟინრებმა გ. სკაჩკოვამ, ე. ზაბოროვამ და სხვებმა პირველებმა გახსნეს ეს ზემარათონული ტრასა. ამ ზაფხულს მათ 200 კილომეტრზე მეტი გზატკეცილზე ერთ კვირაში გაირბინეს. გარბენს მეთაურობდა ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ზაბოროვი.

სვერდლოვსკელებმა თავიანთი მორბენალთა კლუბის თავმჯდომარის, ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ა. დუტოვის მეთაურობით ჯზა დღე-ღამეში გადალახეს (10 საათი და 10 წუთი სარბენი დრო). გუნდის წევრებმა — 60 წლის ინჟინერმა-მასწავლებელმა ბ. ტრუბამ, რკინიგზელმა ოსტატმა მ. როდინმა, ინჟინერმა ი. ტიმოფეევმა, მემანქანე ს. ვორონცოვმა და სხვებმა 15-15 კილომეტრი გაირბინეს. ერთი რომ მირბოდა, დანარჩენები ავტობუსით მიდიოდნენ. ფინიშთან ყველა ერთად მივიდა.

**ვ. პოზდნიაკოვი.**

ჩელიაბინსკი.

საჯდელი მოგვითხრობს

# ღონისძიება დასახეს

ამას წინათ საქართველოს ალკკ წალენჯიხის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი.

აღინიშნა, რომ ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭო.

წინა წლებთან შედარებით ამაღლდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების დონე ცხაკაიას სახელობის ფახულანის, ორჯონიკიძის სახელობის მუჟავის კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭოში, წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობაში.

მიღწევებთან ერთად ბიუროზე ნაკლიც აღინიშნა. მაგალითად, ითქვა, რომ მახარაძის სახელობის ფახულანის კოლმეურნეობაში ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი არა ჰყავთ, პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია არ ზრუნავს სპორტბაზების მოწყობისთვის.

განხილულ საკითხზე ბიურომ დასახა ღონისძიება და კოლმეურნეობათა და საწარმოთა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა მეტი დახმარება გაუწიონ ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტებს.

**ო. სალია.**
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

## სსრ კავშირის პირველობა

# I ლიგა

# გაცრუებული იმედები

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:1 (0:1).

„ტორპედო“: გრძელიშვილი, მაზიაშვილი, პეტროვი, ფრიდმანი, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ლენიოვი (ზადიკაშვილი), შელია (ჭოლაძე), ვეკუა, ფეხტვენიძე, ჯ. სილაგაძე.

„კრილია სოვეტოვი“: ბლოხინი, კობილკოვი, გულბაკინი, ლოსევი, მარტინოვი, პლატონოვი, არიაპოვი, პანფილოვი, კუპრიანოვი, შემელკოვი, კრაევი (დუდკო).

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

დუბლიორები — 0:0.

ქუთაისელ ფეხბურთელთა წლევანდელი თამაშის ამბავი ყველამ კარგად იცის. მათ ასეთი წესი დააკანონეს: შინ აუცილებლად მოგება, სხვის მინდორზე — წაგება, ან უკეთეს შემთხვევაში — ფრე. ამ უთანაბრო მოძრაობის გამო გუნდმა თანდათან დაკარგა შესანიშნავი პოზიციები, რომლებიც გათამაშების სტარტზე ჰქონდა და ბოლოს ისე წაიყვანა საქმე, რომ ჩამოსცილდა უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალურ კანდიდატებს. საბოლოოდ, ხსნა შეიძლება გვენახა მხოლოდ იმაში, რომ ძველი ტრადიციისამებრ მაქსიმუმი დაგვეგროვებინა შინ და რაც შეიძლება გაგვეუმჯობესებინა შედეგები სხვის მინდვრებზე ჩატარებულ მატჩებში.

მაგრამ უარესი მოხდა. ტორპედოელებმა დანაკარგს მიუმატეს ისიც, რომ შინ დამარცხდნენ, თანაც კუიბიშევის გუნდთან, რომელიც არ გამოირჩევა მაინცდამაინც დიდი სიძლიერით, შედეგიანობით და ათეულშიც არ შედიოდა ამ ტურისთვის.

მართალია, აღნიშნულ მატჩში ქუთაისელებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და არაერთხელ შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ გუნდის თამაშში იგრძნობოდა ქაოსურობა, არაორგანიზებულობა, ხოლო თავდამსხმელები ერთობ უშედეგოდ თამაშობდნენ შეტევის დამამთავრებელ ფაზაში. შესამჩნევი იყო ისიც, რომ ცალკეული მოთამაშეები ძალიან დაიღალნენ და მეორე ტაიმში თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო სუსტად გამოიყურებოდნენ.

შეხვედრის დასაწყისში, პირველ წუთებზევე, მასპინძლებს შეეძლოთ მიეღწიათ შედეგისთვის: ჯერ ვეკუამ სულ ხუთიოდე მეტრიდან ხელებში მისცა ბურთი ბლოხინს, შემდეგ ოქროპირაშვილმა სუსტად დაარტყა კარში, კვლავ ვეკუამ ორჯერ ზედიზედ დაკარგა ბურთის გატანის კარგი შანსი და ა. შ.

ასეთი მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სამაგიეროდ, სტუმრებმა სულ ორჯერ-სამჯერ თუ მიაღწიეს მეტოქის კარს და ერთ-ერთი ასეთი კონტრიერიშისას, მე-16 წუთზე პანფილოვმა ზუსტი თავური დარტყმით აიძულა გრძელიშვილი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

„ტორპედომ“ პირველი ქულა დაკარგა შინ წლევანდელ გათამაშებაში.

**შ. ნიჟარაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 4:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 1:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „შახტიორი“ (დონეცკი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 2:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)—„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი“ | 24 | 16 | 5 | 3 | 42—15 | 37 |
| „ჩერნომორ.“ | 23 | 12 | 7 | 4 | 43—21 | 31 |
| „ზვეზდა“ | 24 | 11 | 8 | 5 | 29—22 | 30 |
| „შახტ.“ (დ.) | 23 | 9 | 10 | 4 | 29—13 | 28 |
| „შინიკი“ | 23 | 11 | 6 | 6 | 25—19 | 28 |
| „ტორპედო“ | 22 | 11 | 4 | 7 | 30—17 | 26 |
| „პამირი“ | 24 | 9 | 8 | 7 | 32—33 | 26 |
| „ალგა“ | 24 | 7 | 11 | 6 | 26—18 | 25 |
| „სპარტაკი“ | 23 | 8 | 8 | 7 | 25—26 | 24 |
| „მეტალის.“ | 23 | 7 | 9 | 7 | 24—22 | 23 |
| „შახტ.“ (ყ.) | 24 | 7 | 9 | 8 | 25—28 | 23 |
| „კრ. სოვეტ.“ | 23 | 4 | 14 | 5 | 20—24 | 22 |
| „ნისტრუ“ | 24 | 7 | 7 | 10 | 26—27 | 21 |
| „სტროიტ.“ | 24 | 7 | 7 | 10 | 24—38 | 21 |
| „ავტომობ.“ | 23 | 5 | 10 | 8 | 17—25 | 20 |
| „მეტალურ.“ | 24 | 6 | 6 | 12 | 29—33 | 18 |
| „ტექსტილ.“ | 23 | 5 | 8 | 10 | 21—35 | 18 |
| „დინამო“ | 23 | 4 | 9 | 10 | 16—30 | 17 |
| „კრივბასი“ | 23 | 4 | 8 | 11 | 28—44 | 16 |
| „ურალმაში“ | 24 | 3 | 8 | 13 | 19—39 | 14 |

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

### ზოგიერთი ციფრი

პირველი წრის IX ტური უიღბლო გამოდგა ჩემპიონატის ლიდერთათვის: თბილისის „დინამომ“, ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ და ცსკა-მ ერთად იწვნიეს მარცხის სიმწარე.

თბილისის დინამოელებს არც ერთხელ არ დაურტყამთ პენალტი. ლვოვის „კარპატის“ მოთამაშეებმა კულჩიცკიმ და ლიხაჩოვმა ვერ შეძლეს 11-მეტრიანების გამოყენება.

პირველ წრეში შესრულებულია სულ 2 „ჰეტ-ტრიკი“ (3 გოლი ერთ მატჩში). ეს შეძლეს ლვოველმა სავკამ და კიეველმა მუნტიანმა.

1958 წლის შემდეგ თბილისის „დინამომ“ პირველად გაიმარჯვა V ტურში.

**ს. ქარუმიძე.**

სოფ. ხაშმი,
საგარეჯოს რაიონი.

## პირველი წრის მიხედვით

### რა ხდება პირველ ლიგაში

I ლიგის 20 გუნდიდან 11 სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა.

პირველი წრის კალენდარულ მატჩებს დაესწრო 2436100 კაცი. აქ არ შედის დუშანბეს „პამირისა“ და ორჯონიკიძის „სპარტაკის“ მატჩის მაყურებელთა რაოდენობა, ვინაიდან ეს ცნობა პრესაში არ გამოქვეყნებულა.

მაყურებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა აღნიშნულია ოდესაში, სადაც 9 მატჩზე მოვიდა 266 ათასი მაყურებელი. პირიქით, ყველაზე ნაკლებ ინტერესს ლენინგრადში იჩენდნენ „დინამოს“ თამაშის მიმართ, რომლის ათ მატჩს სულ 29 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ქუთაისის „ტორპედოს“ ათ მატჩს შინ ჰყავდა 208 ათასი მაყურებელი, ხოლო სტუმრად ნათამაშევ ცხრას — 158 ათასი.

მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა აღინიშნა ოდესის „ჩერნომორეცისა“ და ყარაგანდის „შახტიორის“ შეხვედრაში — 40 ათასი.

პირველი წრის 190 მატჩში გატანილია 428 გოლი ანუ საშუალოდ 2,3 გოლზე ცოტა მეტი თითოეულ თამაშში. გატანილი ბურთების 70 პროცენტი მოდის მასპინძლებზე, რომლებმაც 256 ქულა აიღეს, ხოლო სტუმრებმა — 124.

დიდი ანგარიშით დამთავრდა 22 შეხვედრა, რომელთაგან სტუმრების სასარგებლოდ მხოლოდ სამი თამაშია.

მეტოქეთა მინდვრებზე ვერც ერთი თამაში ვერ მოიგეს ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“, სვერდლოვსკის „ურალმაშმა“, ფრუნზეს „ალგამ“ და კრივოი როგის „კრივბასმა“.

საკუთარ მინდორზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვს ქუთაისის „ტორპედოს“ — 20 ქულა ათ თამაშში. ლიდერებმა — „ფახთაქორმა“ და „ჩერნომორეცმა“ შინ 3-3 ქულა დაკარგეს.

პირველ წრეში დანიშნულია სულ 37 პენალტი — 33 სტუმრების და მხოლოდ 4 მასპინძელთა კარში. 33 პენალტმა მიზანს მიაღწია.

3 პენალტი 3-დან გაიტანა ქუთაისელმა ჯ. სილაგაძემ.

მინდვრიდან გაძევებულია 5 ფეხბურთელი: ერიომენკო (ზაპოროჟიეს „მეტალურგი“), ბელოუსოვი (დონეცკის „შახტიორი“), კირილენკო (დუშანბეს „პამირი“), დავიდი (ყარაგანდის „შახტიორი“) და მენშელეევი (აშხაბადის „სტროიტელი“).

სულ გაფრთხილებულია 53 ფეხბურთელი. მათგან ქუთაისელმა ამბარცუმიანმა მიიღო ორი გაფრთხილება, შელიამ, ლენიოვმა, ვეკუამ და ფრიდმანმა — თითო. ტორპედოელებმა ყველა ეს გაფრთხილება მიიღეს მეტოქეთა მინდვრებზე.

ქუთაისელთა მიერ გატანილი 28 გოლი მოდის 8 ფეხბურთელზე: ჯ. სილაგაძე — 8, ჯ. ხერხაძე — 7, დ. ვეკუა — 5, ა. ლენიოვი, რ. ჭოლაძე, შ. ოქროპირაშვილი — 2-2, გ. შელია, ვ. ამბარცუმიანი — თითო.

ყველაზე მეტი ბურთი გავიდა კიშინიოვის „ნისტრუსა“ და დუშანბეს „პამირის“ შეხვედრაში, რომელიც ფრედ დამთავრდა — 4:4. აღსანიშნავია, რომ მატჩს „ნისტრუ“ აგებდა ანგარიშით 0:3, შემდეგ ზედიზედ გაიტანა 4 ბურთი, მაგრამ ბოლო წუთზე მაინც გაუშვა ხელიდან გამარჯვება. საინტერესოა, რომ კიშინიოველები, როცა ისინი 1957 წელს მოსკოვის „სპარტაკს“ ეთამაშებოდნენ, აგებდნენ ანგარიშით 0:4 და შეძლეს ოთხივე ბურთის გაქვითვა.

**ჯ. ჩაჩავა.**

სოფ. ნოსირი,
ცხაკაიას რაიონი.

### თბილისის „დინამო“ საერთაშორისო მატჩებში

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს პირველი საერთაშორისო შეხვედრა 1937 წელს ჰქონდათ ბასკონიის ნაკრებთან — 0:2.

50-ე მატჩი გუნდმა ჩაატარა 1959 წელს უნგრეთის „ჰოლოდაშთან“ და ისიც წააგო — 1:3.

მე-100 შეხვედრა დინამოელთათვის იღბლიანი გამოდგა — 4:0 ბრაზილიის „ფლამენგოსთან“ (1967 წ.).

პირველი გოლი საერთაშორისო შეხვედრებში დინამოელებმა 1944 წელს გაიტანეს ირანის ნაკრებთან (მატჩი მოგებული იქნა — 5:1).

50-ე გოლი გუნდმა 1958 წელს გაიტანა ბუდაპეშტის „დოჟასთან“;

მე-100 — 1957 წელს ბირმის ნაკრებთან;

150-ე — 1959 წელს პრაღის „დინამოსთან“;

მე-200 — 1961 წელს კუბის ნაკრებთან;

250-ე — 1963 წელს დანიის „ესბერგთან“;

მე-300 — 1968 წელს ბერლინის (გდრ) „ფორვერტსთან“;

350-ე — 1972 წელს დანიის „ოდენსესთან“.

სულ დღეისთვის თბილისის „დინამოს“ ჩატარებული აქვს 134 საერთაშორისო მატჩი, რომელთაგან მოგებულია 76, წაგებულია 32 და ფრედ დამთავრებულია 26 (ბურთების ბალანსი—360:186 დინამოელთა სასარგებლოდ).

**ვ. სულაშვილი.**

### სპორტლოტო

## 32-ე „ხუთოსანი“

10 აგვისტოს გროზნოში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, 22-ე ტირაჟი. როგორც ცნობილია, მოგება ხვდა შემდეგ ციფრებს: 10, 19, 22, 38, 42, 44. აღსანიშნავია, რომ ამ გათამაშებაში პირველად მიიღო მონაწილეობა სოხუმის მოსახლეობამ.

ტირაჟიდან ტირაჟამდე იზრდება საქართველოს „ხუთოსანთა“ რიცხვი. უკვე შევიტყვეთ, რომ 22-ე ტირაჟში საქართველოდან „ხუთნიშნიანი“ მოგება ხვდა თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ ა. ფეიქრიშვილს, რომელიც 2406 მანეთს მიიღებს.

ოთხი ციფრი სწორად ამოიცნო რესპუბლიკის 206 მცხოვრებმა. თითოეულ მათგანს 57 მანეთი მოგება ერგო.

ამ გათამაშებაში ყველაზე მეტი „სამოსანი“ აღმოჩნდა, რომლებიც 3-3 მანეთს მიიღებენ.

იღბლიანი ბილეთების მფლობელებს მოგებული ფულის მიღება შეუძლიათ შემნახველ სალაროებში 21 აგვისტოდან.

შემდეგი, 23-ე ტირაჟი კალინინში შედგება 20 აგვისტოს.

**გ. კალმახელიძე,**
**„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.**

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## „ჩელსის“ ახალი ვარსკვლავი

ინგლისელი მიმომხილველები აქებენ „ჩელსის“ ახალგაზრდა ფეხბურთელს მ. ტროის. იგი 22 წლისაა, ერთნაირი წარმატებით თამაშობს როგორც ნახევარმცველად, ისე თავდამსხმელადაც.

ტროის განსაკუთრებული მონაცემები აქვს — იგი 198 სმ სიმაღლისაა და, 100 კგ წონის მიუხედავად, ძალიან სწრაფად თამაშობს.

### საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკური გათამაშების მორიგი შეხვედრები.

## II ჯგუფი

### I ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 1:0, „მევენახე“ (ბოლნისი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 5:0, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 6:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „შევარდენი“ (თბილისი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 5:1, „კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:0, „ცისკარი“ (სიღნაღი)— „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) 0:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ვარძია“ (ასპინძა) 0:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:4, „შევარდენი“ (თბილისი) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:3 „გარისი“ (თეთრი წყარო) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:3.

ასპინძის „ვარძიას“ გამარჯვება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან“, ხოლო წალკის „თრიალეთს“ — წითელი წყაროს „შირაქთან“.

### II ზონა

„სქური“ (წალენჯიხა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 4:3, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „განახლება“ (ადიგენი) 1:2, „მზიური“ (გალი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:1, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:3, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „განთიადი“ (აბაშა) 4:1, „კომეტა“ (ფოთი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 6:3, „განთიადი“ (აბაშა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 3:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მზიური“ (გალი) 3:1, „დიოსკურია“ (სოხუმი)—„კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 4:0, „განახლება“ (ადიგენი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1.

## ზონალური შეჯიბრებები

„ქისტაური“ (ახმეტა) — „ნაფარეული“ (თელავი) 5:1, „განთიადი“ (მარნეული) — „რაიკავშირი“ (დმანისი) 9:0, „ლიახვი“ (გორი) — „არაგვი“ (მცხეთა) 8:4, „ავტომობილისტი“ (სამტრედია) — „მეხალიჩე“ (ცხაკაია) 5:2, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ყინწვისი“ (ქარელი) 0:2, „ნაფარეული“ (თელავი) — „მუკუზანი“ (გურჯაანი) 4:7, „იორი“ (თიანეთი) — „ქისტაური“ (ახმეტა) 2:4, „ძველი ანაგა“ (სიღნაღი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 0:1, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 0:2, „რაიკავშირი“ (დმანისი) — „ლიახვი“ (გორი) 0:3.

ლანჩხუთის „კოლმეურნეს“ გამარჯვება ჩაეთვალა მახარაძის „ლაშესთან“, ხოლო გარდაბნის „რუბეროიდს“ — თიანეთის „იორთან“.

წალკის „ავრანლო“ ორჯერ არ გამოცხადდა სათამაშოდ, რისთვისაც გათამაშებიდან მოიხსნა.

### რესპუბლიკის თასზე

შედგა საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. კახეთის „თელავმა“ მიიღო ზესტაფონის „მეტალურგი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ზუგდიდის „დინამოსა“ და ცხაკაიას „ეგრისის“ პირველი თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. გუნდები გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

თასის ფინალური მატჩი 22 აგვისტოს შედგება თბილისში.

## გათამაშების ცხრილები

### II ჯგუფი

მდგომარეობა 17 აგვისტოსთვის

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 17 | 13 | 1 | 3 | 44—16 | 27 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 17 | 13 | 0 | 4 | 45—8 | 26 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 16 | 11 | 2 | 3 | 23—7 | 24 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 17 | 10 | 4 | 3 | 32—18 | 24 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 17 | 9 | 2 | 6 | 25—17 | 20 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 17 | 8 | 4 | 5 | 27—23 | 20 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 17 | 7 | 5 | 5 | 21—21 | 19 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 17 | 7 | 4 | 6 | 24—23 | 18 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 17 | 7 | 3 | 7 | 33—28 | 17 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 16 | 6 | 5 | 5 | 30—33 | 17 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 17 | 6 | 2 | 9 | 26—27 | 14 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 18 | 5 | 3 | 10 | 20—33 | 13 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 18 | 3 | 3 | 12 | 20—33 | 9 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 17 | 3 | 3 | 11 | 13—32 | 9 |
| „გარისი“ (თეთრი წყარო) | 18 | 4 | 1 | 13 | 16—52 | 9 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 18 | 4 | 0 | 14 | 12—40 | 8 |

#### [illegible] ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 19 | 14 | 1 | 4 | 39—12 | 29 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 18 | 12 | 4 | 2 | 35—12 | 28 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 19 | 12 | 1 | 6 | 30—22 | 25 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 19 | 10 | 3 | 6 | 37—23 | 23 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 18 | 7 | 7 | 4 | 29—17 | 21 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 19 | 8 | 5 | 6 | 30—25 | 21 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 19 | 8 | 4 | 7 | 23—22 | 20 |
| „დიოსკურია“ (სოხუმი) | 19 | 8 | 3 | 8 | 33—27 | 19 |
| „კომეტა“ (ფოთი) | 17 | 7 | 5 | 5 | 26—20 | 19 |
| „საირმე“ (მაიაკოვსკი) | 19 | 6 | 6 | 7 | 36—27 | 18 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 18 | 6 | 5 | 7 | 25—29 | 17 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 19 | 6 | 2 | 11 | 20—34 | 14 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 18 | 5 | 2 | 11 | 23—35 | 12 |
| ხდა (სამტრედია) | 16 | 4 | 4 | 8 | 22—39 | 12 |
| „მზიური“ (გალი) | 19 | 4 | 4 | 11 | 15—32 | 12 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 18 | 1 | 2 | 15 | 14—61 | 4 |

## ოლიმპიური ეპიზოდები

# ჯერ სტოკჰოლმში, მერე მელბურნში



1949 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა ასამბლეამ XVI ოლიმპიადის მასპინძლობა ავსტრალიას დააკისრა, ქვეყანას, რომელიც წლების მანძილზე ამაოდ იბრძოდა ამ საპატიო უფლებისთვის. მაგრამ იმავე ოლიმპიური კომიტეტის ვენის კონგრესზე გაირკვა, რომ მწვანე კონტინენტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაატარებდა ცხენოსანთა ტურნირს. ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ თავზარი დასცა სოკ-ის ხელმძღვანელობას. საქმის დეტალური შესწავლით დადგინდა, რომ მსოფლიოში კლასიკურ ქვეყანაში თურმე ცხენის ეპიდემიის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა აღნიშნული. ავსტრალიაში მოქმედებდა უძველესი კანონი რომლის თანახმადაც კონტინენტზე ცხენების შემოყვანა ნებადართული ჰქონდა ორ თუ სამ მეზობელ ქვეყანას, ისიც, თუ პირუტყვი სპეციალურ და სამთვე ხანგრძლივ კარანტინს გაივლიდა.

ოლიმპიადა ჩიხში მოექცა: თითქოს არ ჩანდა კანონისთვის გვერდის ასახვევი გზა. არადა, სოკ-ი არნახულ დათმობაზე უნდა წასულიყო და პროგრამიდან ამოეღო ცხენოსნობა, რაც უეჭველად ბევრი ქვეყნის სამართლიან პროტესტს გამოიწვევდა. სკანდალი გარდუვალი იყო და ვინ იცის რა მოხდებოდა, შვეციიდან ხსნა რომ არ მოსულიყო. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და დაუყოვნებლივ დათანხმდა კომპრომისულ წინადადებას: XVI ოლიმპიური თამაშები გაიხსნა 1956 წლის 22 ნოემბერს მელბურნში (დაიხურა 8 დეკემბერს), მაგრამ უკვე 5 თვით ადრე ცნობილი იყო პირველი ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა, ვინაიდან სტოკჰოლმმა ცხენოსანთა ტურნირი 11-17 ივნისს ჩაატარა.

ძნელია სპორტის წარმოდგენა ჯანსაღი მეტოქეობის გარეშე. უფრო მეტიც, რაც უფრო მკვეთრადაა გამოხატული კონკურენცია, რაც უფრო დიდია მონაწილეთა რიცხვი, მით უფრო საგულისხმოა წუთებში, მეტრებსა და კილოგრამებში გამოხატულ წარმატებათა დირებულება. მელბურნის ოლიმპიადის მთავარი ღირსებაც სწორედ ის არის, რომ მან დასაბამი მისცა სპორტის ახალ, მანამდე არნახულ აღმავლობას მთელს მსოფლიოში.



ჰელსინკის ოლიმპიადის ღირსსახსოვარი დღეებიდან სულ ოთხი წელი გავიდა, მაგრამ ძალთა თანაფარდობა მოწინავე სპორტულ ქვეყნებს შორის უცვლელი დარჩა. ერთის მხრივ, შეერთებული შტატები — კაპიტალისტური სამყაროს სპორტული ძლიერების ძველი მედროშე, მეორეს მხრივ, სსრ კავშირი — ახალი ძალა თანამედროვე სპორტულ მოძრაობაში.

საბჭოთა სპორტმა თავისი მაღალი ოსტატობის საფასურად მელბურნში 98 მედალი დაიმსახურა (37 ოქროსი, 29 ვერცხლისა და 32 ბრინჯაოსი). ამერიკელთა ნადავლი უფრო ღარიბი იყო — 32 ოქროს, 25 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს მედალი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ფავორიტთა შედეგების არითმეტიკული ჯამი შესაბამისად შეადგენდა: სსრ კავშირისთვის — 622,5 ქულას, აშშ-სთვის — 498 ქულას. ეს იყო ნამდვილი სენსაცია, რომელმაც ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია მანამდე არსებული წარმოდგენა სპორტულ ძლიერებაზე: თანამედროვეობის ოლიმპიური თამაშების მუდმივი ტრიუმფატორი მთელი 124,5 ქულით ჩამორჩა ქვეყანას, რომელსაც ზურგს ერთადერთი ოლიმპიადის გამოცდილება უმაგრებდა.

მელბურნში გაუმჯობესდა 77 ოლიმპიური რეკორდი (მათ შორის, 18 მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა). საერთაშორისო კლასის შედეგები იქნა ნაჩვენები მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლასა და სხვა სახეობებში. ბევრი ეროვნული რეკორდი შორეულ კონტინენტზე დაემხო, ბევრი რეკორდსმენის სახელი პირველად გაიცნო სამყარომ. მაგრამ ერთმა პარადოქსმა სხვა მხრივ უნაკლო ოლიმპიადას ასე თუ ისე სახელი „გაუტეხა“: მელბურნში აშკარად არ სწყალობდათ ბედი რეკორდსმენებს. ეს ერთი შეხედვით უჩვეულო ამბავი ბოლოს ანეკდოტად იქცა. ინგლისელმა სტაიერმა გორდონ პირიმ 5 ათას მეტრზე წინასწარ გარბენში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. პირის ღრმად სჯეროდა თავისი ვარსკვლავისა და დარწმუნებული იყო, რომ ფინალში ვერავინ აუღებდა ბოდა წინ. მაგრამ ამაყი ინგლისელის ჯიჯმობს განხორციელება არ ეწერა. მისი ოცნება დაამსხვრია საბჭოთა სტაიერმა ვლადიმერ კუცმა, რომელსაც ავსტრალიაში ჩასვლამდე სპეციალისტები კარგად არც კი იცნობდნენ. ასეთი მოულოდნელი ამბავი ჯერ მარტო მძლეოსნობაში ცამეტჯერ მოხდა.




მაგრამ უცნობიც არის და უცნობიც. კუცმა ყურადღება მიიპყრო ოლიმპიადის გახსნამდე, საწვრთნელი ვარჯიშების დროს. ავსტრალიელებს მოსწონდათ ძისი ძალდაუტანებელი ნაბიჯი, მანქანასავით ზუსტი რიტმი და ზომიერება, რითაც საბჭოთა სტაიერი აშკარად გამოირჩეოდა სხვებისგან. ორიოდე დღის შემდეგ კი „კრიკეტ გრაუნდის“ ვეებერთელა სტადიონი აღტაცებით ულოცავდა გამარჯვებას საბჭოთა მძლეოსანს, რომელმაც ასე იოლად მოიგო პირველობა მთავარ სტაიერულ დისტანციაზე — 10 ათას მეტრზე რბენაში.

კუცი მელბურნის აღმოჩენა იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე წერდნენ ავსტრალიური გაზეთები. ამიტომაც არავის გაკვირვებია, როცა ოლიმპიადის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად კუცი მიიჩნიეს. „თუ სადმე ხალხის თავმოყრა შენიშნოთ, აჩქარდით, — აფრთხილებდა კრესა მკითხველებს, — იცოდეთ, იქ უეჭველად კუცი იქნება“. მელბურნში საბჭოთა მძლეოსანს მოსვენება არ ჰქონდა არც დღისით, არც ღამით, არც შინ — ოლიმპიურ სოფელში და არც გარეთ — ქალაქის ქუჩებში. მას მუდამ ჯგუფ-ჯგუფად დასდევდნენ ცნობისმოყვარე ბიჭუნები, თაყვანისმცემლები, ავტოგრაფებისა და სუვენირების მოყვარულნი. სულ რაღაც სამიოდე დღეში კუცი მწვანე კონტინენტის ლეგენდად იქცა და ლეგენდადვე დარჩა წლების მანძილზე.

ოლიმპიურ თამაშებს ყველა ქვეყანა თავისი განსაკუთრებული საზომით უდგება. სსრ კავშირი და აშშ საერთო ჰეგემონიისთვის იბრძოდნენ. არანაკლებად მძაფრი იყო ბრძოლა III ადგილისთვის ერთის მხრივ გერმანიის გაერთიანებულ გუნდისა და მეორეს მხრივ ოლიმპიადის მასპინძლებს შორის (სხვათა შორის, პირველად სწორედ მელბურნში გამოვიდნენ გდრ და გფრ ერთიანი ნაკრებით).

მელბურნი, ისევე როგორც მთელი სპორტული სამყარო, მადლიერების ნიშნად ქედს იხრიდა თავისი ქვეყნის გვირგვინოსანთა წინაშე. მათს პოპულარობასა და ავტორიტეტს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ბევრნი იყვნენ, ღირსეულთა შორის ღირსეულები. გავიხსენოთ შირლი სტრიკლენდი — 4 წლის ვაჟის დედა და შესანიშნავი მძლეოსანი. რა სახის ჯილდოები არ ინახება მის საოჯახო მუზეუმში! ჯერ მარტო მელბურნში შირლიმ (იგი ლონდონისა და ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილეც იყო) 2 ოქროს მედალი მიიღო და კიდევ დამატებით — საპატიო ოლიმპიურის ნიშანი 31 წლის ასაკში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებისთვის. სამჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მსოფლიოში ყველაზე ფეხმარდი ქალი, სპორტის მოყვარულთა ჭეშმარიტი კერპი ელიზაბეტ (ბეტი) კატბერტი. მან ასი ათასობით თანამემამულის სიყვარული მიიღო ჯილდოდ იმ სიხარულისთვის, ოლიმპიადის დღეებში მათვე რომ განაცდევინა.

• • •

სურათებზე: შ. სტრიკლენდი (მარცხნივ) თარჯრბენის დისტანციაზე; ვ. კუცი; XVI ოლიმპიადისადმი მიძღვნილი პლაკატი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ბრძოლა უხეშობასთან

საფეხბურთო სეზონი გლაზგოში უჩვეულოდ დაიწყო: „გლაზგო რეინჯერსისა“ და „კლაიდბენკის“ მატჩის წინ სტადიონის ცენტრში გამოვიდა მინდვრის მასპინძლების დირექტორი-განმკარგულებელი და სულ რამდენიმე სიტყვით მიმართა მაყურებლებს: „პოლიციის დახმარებით ვეცდებით თავიდან ავიცილოთ ინციდენტები, რასაც თქვენ უწინ ხშირად გვიწყობდით“.

როგორც ცნობილია, ამ კლუბის გულშემატკივართა ხულიგნური მოქმედების გამო ხელი შეეშალა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩს და „რეინჯერსის“ ფეხბურთელებს დიდი ხნით აეკრძალეს ევროპულ ტურნირებში თამაში...

„ნისლიან ალბიონში“ დაწყებულ „დიდ ფეხბურთს“ უკვე პირველ დღეს უსიამოვნო ამბები მოჰყვა. „ლესტერ-სიტისა“ და „არსენალის“ მატჩის პირველი ტაიმი დამთავრებული არ იყო, რომ გულშემატკივრები მინდორზე გადაცვივდნენ. მოხდა მაყურებელთა და პოლიციელთა შეტაკება. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, 28 მაყურებელი დააპატიმრეს, 26 დაშავდა. ერთი მათგანი, რომელსაც თავში ბოთლი მოხვდა, „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში გააქანეს.

ხელჩართული ომი იყო სხვა სტადიონებზეც. რამდენიმე ათეული ხულიგანი დააპატიმრეს.

დიდი ბრიტანეთის საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობა ისევ ცდილობს მწვანე მინდვრებზე წესრიგის დამყარებას. დამუშავებულია „ბინძური თამაშისთვის“ ფეხბურთელთა დასჯის მკაცრი ზომები. ხელის კვრასაც კი, რის გამოც წინათ მხოლოდ საჯარიმო დარტყმა ინიშნებოდა, ახლა შეიძლება რამდენიმე მატჩით დისკვალიფიკაცია მოჰყვეს.

პირველ დღეს უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი, „ლივერპულის“ მოთამაშე ლ. ლოიდი და უელსის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი, „მანჩესტერ სიტის“ მოთამაშე ვ. დევისი. ორივე ავტომატურად მოიხსნა სამი შემდეგი შეხვედრიდან. სულ პირველ მატჩებში მსაჯებმა ფეხბურთელებს 53 შენიშვნა მისცეს.

დისციპლინარულმა კომისიამ გამოაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში მზადაა მიიღოს გადამჭრელი ზომები ნებისმიერი ფეხბურთელის მიმართ, მიუხედავად მისი „რანგისა“.

ვ. ვლადიმიროვი.
(საქდესის კორ.).

ლონდონი.

• •

### რამსეიმ მიაგნო

როგორც ცნობილია, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი ბოლო დროს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელის თამაშს აკვირდება. იგი ამბობს, რომ აქედანვე ემზადება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის ფინალისთვის.

და აი, რამსეიმ განაცხადა, რომ მიაგნო ისეთ ახალგაზრდა ნახევარმცველს, როგორიც მას სჭირდება. ეს გახლავთ 20 წლის ს. პერიმენი („ტოტენჰემ ჰოტსპური“).

• •

### 10 წლის მანძილზე

10 წლის მანძილზე ხელმძღვანელობს გფრ-ის ნაკრებს გამოჩენილი მწვრთნელი ჰ. შიონი. შიონს დიდი წარმატებები აქვს: 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში მის გუნდს ვერცხლის მედლები ხვდა, 1970 წელს მექსიკაში — ბრინჯაოსი, 1972 წელს ევროპის პირველობაში — ჩემპიონობა.

შიონის ხელმძღვანელობით გფრ-ის ნაკრებმა სულ 79 მატჩი ჩაატარა, 52 მოიგო, 16 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 11 წააგო.

• •

### „მეაცას პრიზი“

ომამდელი პერიოდის გამოჩენილი იტალიელი თავდამსხმელი მეაცა განთქმული იყო იშვიათი ერთგულებით თავისი კლუბისადმი. ამიტომ იტალიაში არსებობს „მეაცას პრიზი“, რომელიც გადაეცემა მეაცასავით ერთგულ ფეხბურთელს.

ამას წინათ „მეაცას პრიზი“ გადაეცა ცნობილ ოსტატ კორსოს, რომელიც უკვე 14 სეზონია მილანის „ინტერნაციონალეში“ თამაშობს. ამ ხნის მანძილზე კორსომ 386 მატჩი ჩაატარა იტალიის პირველობაზე და 72 გოლი გაიტანა.

• •

### ვეტერანის დიდი ოსტატობა

იუგოსლაველი ვეტერანი შეკულარაცი უკვე რამდენიმე წელია კოლუმბიაში თამაშობს და იქაური გულშემატკივრების ნაღდვილი კერპი გახდა. აი, რას წერენ ბოგოტის გაზეთები: „შეკულარაცს თავისი გუნდისთვის მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე პელეს“, „ჩვენ ბევრიც გვინახავს, ჟაირზინიოც, პელეც, ჩარლტონიც, მაგრამ შეკულარაცი უფრო ლამაზად თამაშობს“; „თუ შეკულარაცი კოლუმბიაში დარჩება, ჩვენ არაფერი გვეშინია“.

ერთი სიტყვით, კოლუმბიელებს მიაჩნიათ, რომ შეკულარაცზე უკეთესი ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა ამ ქვეყანაში.

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.




თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზის დირექცია (ორთაჭალჰესთან) შაბათსა და კვირას ცისფერ ბილიკებზე იწვევს ცურვაში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მსურველებს.

ნორმატივების მიმღები კომისია იმუშავებს: შაბათს — 8-დან 20 საათამდე, კვირას — 9-დან 17 საათამდე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




18 აგვისტო
სსრ კავშირის ჩემპიონატი
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვი).
დასაწყისი 19 ს. და 30 წთ.

## ყოფილი მეფე — თამაშგარე მდგომარეობაში

ათენი, 14 აგვისტო. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, საბერძნეთის ყოფილი მეფე კონსტანტინე, რომელიც ამჟამად იტალიაში ცხოვრობს, საბერძნეთის აფროსანთა ოლიმპიურ გუნდში არ შეუყვანიათ. საქმე ისაა, რომ კონსტანტინეს შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04577